საქართველოს მთავრობის განკარგულება

№273 2016 წლის 19 თებერვალი ქ. თბილისი

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული კასპის სატყეო უბნის ქსნის სატყეოს კვარტალ №10-ის ლიტერ №9-სა და №14-ში 41000 კვ.მ მიწის ფართობზე სასოფლო-სამეურნეო მიზნით ტყითსარგებლობის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლის, „ტყის ფონდის მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესის მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 56-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული, შიდა ქართლის სატყეო სამსახურის კასპის სატყეო უბნის ქსნის სატყეოს კვარტალ №10-ის ლიტერ №9-სა და №14-ში 41000 კვ.მ მიწის ფართობზე სასოფლო-სამეურნეო მიზნით ტყითსარგებლობის ვადა განისაზღვროს 10 (ათი) წლამდე ვადით.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი